



## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №17

2012 წლის 15 თებერვალი  
ქ. ქობულეთი

### ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის  
შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების გეგმა თანახმად დანართისა;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 აგვისტოს №110 განკარგულება;
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი);
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30)
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის განთავსების გეგმა

### ლოტი 1. (სარეკლამო ფართი 152 კვ.მ.)

1. აჭარა-გურიის ადმინისტრაციულ საზღვარზე მდებარე ორმხრივი ხიდისებური კონსტრუქცია ზომით  $2 \times (2.5 \times 16)$  საერთო ფართი 80 კვ.მ.;
2. სოფელი ბობოყვათი, ყოფილი ბენზინგასამართი სადგურის წინ, ორმხრივი კონსტრუქცია ზომით  $3 \times 6$  საერთო ფართი 36 კვ.მ.;
3. სოფელ ბუენარი, ყოფილი საკონსერვოს მიმდებარედ, ორმხრივი კონსტრუქცია ზომით  $3 \times 6$  საერთო ფართი 36 კვ.მ.;

### ლოტი 2. (სარეკლამო ფართი 502 კვ.მ.)

1. ყოფილი დასასვენებელი სახლი „ჩირაღდანი“-ს მიმდებარედ, ორმხრივი ხიდისებური კონსტრუქცია,  $2 \times (2.5 \times 16)$  საერთო ფართი 80 კვ.მ.;
2. ქობულეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედანზე, 5 ცალი ცალმხრივი კონსტრუქცია, თითო ზომით  $3 \times 9$ , საერთო ფართი 135 კვ.მ.;
3. აბაშიძის ქუჩაზე, სამთავრობო აგარაკის მიმდებარედ, ორმხრივი კონსტრუქცია ზომით  $3 \times 6$  საერთო ფართი 36 კვ.მ.;
4. სოფ. ციხისძირი, პეტრას ციხის მიმდებარედ, 4 ცალი ცალმხრივი კონსტრუქცია, თითო ზომით  $3 \times 9$ , საერთო ფართი 108 კვ.მ.;
5. ციხისძირის მეურნეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, ცალმხრივი კონსტრუქცია ზომით  $3 \times 9$ , საერთო ფართი 27 კვ.მ.;
6. დაბა ჩაქვში, თამარ მეფის ქ. №63-ის მოპირდაპირედ, ორმხრივი კონსტრუქცია ზომით  $3 \times 6$ , საერთო ფართი – 36 კვ.მ.;
7. დაბა ჩაქვში, თამარ მეფის ქუჩაზე, აგს „რომპეტროლი“-ს მიმდებარედ, ორმხრივი ხიდისებური კონსტრუქცია ზომით –  $2 \times (2.5 \times 16)$  საერთო ფართი – 80 კვ.მ.;

### ლოტი 3. (სარეკლამო ფართი 72 კვ.მ.)

1. აბაშიძის ქუჩაზე, ბობოყვათის სარკინიგზო გადასასვლელთან, ორმხრივი კონსტრუქცია ზომით  $3 \times 6$ , საერთო ფართი – 36 კვ.მ.;
2. აბაშიძის ქუჩაზე, აგს „ლუკოილის“ მიმდებარედ, ორმხრივი კონსტრუქცია ზომით  $3 \times 6$ , საერთო ფართი – 36 კვ.მ.;

I ლოტი - 152 კვ.მ.

II ლოტი - 502 კვ.მ.

III ლოტი 72 კვ.მ.